

ზმნის ზოგიერთი თავისებურება ტაოურში

ავტორი: მათა ბარამიძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, 6010, ბათუმი, ნინოშვილის 35

E-mail: maia.baramidze@bsu.edu.ge

ავტორი: მამია ფაღავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
საქართველო, 6010, ბათუმი, ნინოშვილის 35

E-mail: mamia.paghava@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ტაო, დიალექტი, ზმნის პირი, რიცხვი, გვარი.

ანოტაცია

სტატიაში განხილულია ზმნის ზოგიერთი თავისებურება ტაოურ დიალექტში, კერძოდ:

ა. ტაოურ კილოში სუბიექტური მეორე პირის ნიშნებია ხ'-, ჰ'-, ს'- პრეფიქსები: ჩახყრი, შეჰჰამ, მისტყეჰავ. იგივე მაწარმოებლები იხმარება ობიექტური მესამე პირის ნიშნებად: ჩავხყრი, დაავჰჰრი, სჰამენ...

ბ. ტაოურში მესამე პირის სიმრავლის გამოსახატავად ხშირია -ან, -ენ სუფიქსების გამოყენება: აქვან (შდრ. აქვან[ნ]), ჯერავენ...

-თ სუფიქსის ნაცვლად -ეს იხმარება უწყვეტელში: ქონდეს, მიჰყავდეს...

გ. მომავალი დროის გამოსახატავად გამოიყენება კავშირებითი მწკრივს ფორმები: დათესო, გააჰტყელო...

დ. ტაოურისათვის დამახასიათებელია ზმნისწინთა მონაცვლეობა:

გა:და: გაჰკვიანდენ (გიჟები). შდრ. დაჰკვიანდენ); გა:ჩა: გაყარა (წყალში. შდრ. ჩაყარა)...

ე. მონაცვლეობენ თემის ნიშნები:

ი:ავ: აწონავ (შდრ. აწონი), ვყიდავ (შდრ. ვყიდი)...

ოზ:ავ: იბანავ (შდრ. ბანაობ)...

ეზ:ავ: დასტაცავს (შდრ. დასტაცებს)...

ავ:ეზ: ილოცებს (შდრ. ილოცავს)...

უთემისნიშნო ზმნებს დაერთვის -ავ: სწერავთ (შდრ. სწერთ)...

ვ. თავისებურებები შეინიშნება ზმნის გვარის ფორმათა წარმოებაში: ე პრეფიქსიანი ვნებითი ცვლის დ' სუფიქსიანს: ეთხვება (შდრ. თხოვდება)...

ზ. მნიშვნელოვანი თავისებურებები ვლინდება ზმნის მწკრივთა წარმოებაშიც...

ყველა მახასიათებლის გათვალისწინებით ტაოურს ცალკე დიალექტად გამოვყოფთ.